

**მითოსური მსოფლმხედველობა
და მისი სამი სტადიური ეტაპი**

- **საწყისი მთლიანობა • უნივერსალური დიქტომიები**
- **დუალიზმის წარმოშობა**

მითი დაიბადა პირველყოფილ ტრადიციულ საზოგადოებაში, კაცობრიული კულტურის ყველაზე ადრეულ საფეხურზე. მითმა მოიცვა ამ საზოგადოებების არსებობისა და აზროვნების უკლებლივ ყველა სფერო, მთლიანად განსაზღვრა არქაული ადამიანის მსოფლმხედველობა. ამიტომ მითი გახდა პირველყოფილი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ერთადერთი ფორმა და ამ აზროვნებას ვუწოდებთ „მითოსურს“.

„**მითოსური აზროვნება**“ ძალიან ზოგადი, მაგრამ იმავდროულად, ერთადერთი ზუსტი ტერმინია უძველესი ადამიანის მენტალური სტრუქტურის განსასაზღვრად. ტერმინი ზუსტია, რამდენადაც ყველაზე ფართოა და თავისთავად მითოსურობის მთლიან სპექტრს მოიაზრებს. ქვემოთ შევეცდები ამ ზოგად განმარტებას კონკრეტულობა შევძინო და ავხსნა, თუ რას ნიშნავს და რა კულტურულ თუ მენტალურ ფენომენებს ეფუძნება „მითოსური აზროვნება“ და, ასევე, რა სტადიური ცვლილებები განიცადა მან მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

მითოსური აზროვნება დაეფუძნა ტრადიციული საზოგადოების „ცოცხალ მითს“¹. ასეთი მითოსის სიცოცხლისუნარიანობა მის მატარებელ საზოგადოებაში განიცდება მითის, რიტუალისა და მაგიის თანამოქმედებისას. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ „ცოცხალი მითი“, მის მატარებელ საზოგადოებაში „ასრულებს ოთხ ფუნდამენტურ ფუნქციას: მისტიკურს, კოსმოგონიურს, სოციოლოგიურს და ფსიქოლოგიურს“ (Campbell 2004, 25). მითოსური აზროვნებაც ამ ოთხი ფუნდამენტური მითოსური ასპექტიდან იღებს სათავეს, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე და ამავდროულად სინკრეტულად მუშაობს პირველყოფი-

1 ბრონისლავ მალინოვსკის ტერმინი.

ლი ადამიანის მსოფლალქმის ჩამოყალიბებაში: მისტიკურია პირველყოფილი აზროვნება, რომელიც ეფუძნება ფსიქოლოგიურ-ასოციაციურ კოლექტიურ წარმოდგენებს, იგი საფუძვლად უდევს ბუნებისა და ადამიანის გაიგივებასა და პარტიციპალური კავშირების დამყარებას მიზეზ-შედეგობრივად შეუსაბამო მოვლენებს/საგნებს შორის. სოციალური და კოსმოგონიური ასპექტები მითოსურ აზროვნებაში თანხვედრია, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ – *სოციოკოსმოგონია*: ერთი მხრივ, სახეზეა ყველა სოციალური მოვლენის კოსმიზაცია და, მეორე მხრივ, პირუკუ – კოსმიურ გამოვლინებათა სოციალიზაცია (გარკვეული პირველყოფილი ეგზისტენციით), რითაც საბოლოო ჯამში მიიღწევა როგორც სოციალური, ისე კოსმიური წესრიგი და მყარად ჩამოყალიბებული, კანონიზებული „სამყაროს სურათი“.

ამდენად, მითოსური აზროვნება თანხვედრაშია მითის ფუნდამენტურ ფუნქციებთან, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ აიოლებს პირველყოფილი აზროვნების გაგებას, ჩვენ ხომ ამ ფუნქციების განხორციელების (ფუნქციონირების) მექანიზმს უნდა ჩავწვდეთ: ეს არის პირველი სირთულე, რომელსაც სხვა სირთულეებიც მოსდევს:

პირველი, ფუნქციონირების მექანიზმი: ამ ერთი შეხედვით „პრიმიტიული“ საზოგადოებების აზროვნების ფორმა-შინაარსი იმ ურთულესი მექანიზმებით არის სტრუქტურირებული, რომელიც განპირობებულია რაღაც სრულიად სხვა, თანამედროვე ადამიანისთვის უცნობი, პარადოქსული კანონებით, ისეთი, როგორცაა გარესამყაროს გამოვლინებათა მისტიკური ურთიერთმიმართებანი, პარტიციპაციები; მთლიანი სამყაროსა და მისი თითოეული გამოვლინების მითომეტაფორიზება, ტოტემური კავშირები და სხვა.

მეორე, კულტურათა ტიპობრივი დიფერენციაცია: დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული პირველყოფილი კულტურების ხასიათი, აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ფორმები არაერთგვაროვანია: მაგ. ჯ.კემპბელი წინარედამწერლობითი პერიოდის(ძველი და დღემდე არსებული) პირველყოფილი კულტურების დიფერენციაციისას საუბრობს ორ მთავარ ხაზზე ერთი მხრივ, გვაქვს მონადირეთა საზოგადოებების კულტურულ-მითოლოგიური ზონები(ჩრდილოეთ კანადის დაბლობები, ამერიკის შეერთებული შტატები, ციმბირი, ჩრდილოეთ ევროპა და ა.შ) (Campbell 2004, 26) და, მეორე მხრივ, ტროპიკული კულტურული ზონების(მაგ.აფრიკა) „მცენარეული“ მითოლოგიები (Campbell 2004, 30). სამონადირეო მითოლოგიების არსი, რომელიც საკვების მოპოვების, ბრძოლებისა და შედარებით მსუბუქი მსხვერპლშეწირვის მითოლოგიურ მოტივებზე დგას, კემპბელს გაცილებით მარტივად მიაჩნია, ვიდრე „მცენარეული“ ტიპის

მითოლოგიები, სადაც არქაული ადამიანი მითორიტუალებით და სასტიკი მსხვერპლშეწირვებით იმეორებს/გადაითამაშებს მცენარეული სამყაროს ცხოვრებას, მის „სიკვდილ-აღდგომას“. ესაა „მითოლოგიის პადევმატიკური (Paideumatic) მოდელი“. ტერმინი „პადევმატიკური“ კემპბელმა „მცენარეული“ პირველყოფილი კულტურების დასახასიათებლად ისესხა ცნობილი გერმანელი ეთნოგრაფ-აფრიკანისტი სლეო ფრობენიუსისაგან (1873-1938). ფრობენიუსი აღწერს კულტურის მიდრეკილებას, ჩამოყალიბდეს თავის ფიზიკურ კონტექსტთან უშუალო დამოკიდებულებაში კლიმატის, ნიადაგისა და გეოგრაფიული მდგომარეობის შესაბამისად (Campbell 2004, 30).

მესამე, კულტურათა სტადიური დიფერენციაცია: პირველყოფილი კულტურების მრავალფეროვნების მიღმა, რა თქმა უნდა, არსებობს უნივერსალური, საერთოსაკაცობრიო მითოსური აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ერთიანი სტრუქტურა (რასაც კომპარატივისტული მითოლოგია იკვლევს), რომელიც საერთოა ნებისმიერი ტიპის პირველყოფილი კულტურისათვის. მაგრამ ეს უნივერსალური ერთიანი ხაზიც თავისი არსებობის მთლიან პერსპექტივაში შეუძლებელია, მოექცეს ერთადერთ პარადიგმაში. პირველყოფილმა აზროვნებამ, ისევე როგორც პირველყოფილმა სოციალურმა ორგანიზაციებმა, თავიანთი არსებობის მანძილზე გაიარეს სხვადასხვა სტადიური ეტაპი.

ჩვენ პირველყოფილი კულტურების მსოფლმხედველობის ამ საერთო უნივერსალურ ხაზს გავყვებით, რომლის კვალზეც სამ გარდამტეხ პარადიგმულ მსოფლმხედველობრივ ფორმაციაზე შევჩერდებით: კაცობრიობის არსებობის ყველაზე არქაული პლასტიდან – პირველარსებული მთლიანობიდან უნივერსალური დიქტომიების წარმოშობამდე და შემდგომ, უნივერსალური დიქტომიებიდან დუალიზმის წარმოშობამდე. დუალიზმით, მის კლასიკურ გამოვლინებაში, უკვე მაღალგანვითარებულ მითოლოგიურ (მითორელიგიურ) სტადიაზე გადავდივართ.

1. გარესამყაროსთან გაიგივება-თანაზიარობა: პარტიციპალური მთლიანობა და პირველყოფილი ლოგიკა

*„რელიგიური ადამიანისთვის
ბუნება არასოდეს არის მხოლოდ ბუნებობა...”*

**მირჩა ელიადე,
„საკრალური და პროფანული“²**

*„ბუნება არა რა არს თვინიერ არსებისა, რამეთუ
არსებისაგან აქვს ესევეთარი ძალი, რომელი
არს ძრვა და მყუდროება“*

**სულხან-საბა ორბელიანი,
„ლექსიკონი ქართული“³**

მითოსი გვეუბნება, რომ კოსმოსის წარმოშობას მყისიერად მოჰყვა ადამიანის გაჩენაც. კოსმოსი და ადამიანი წარმოადგენს რაღაც ერთ ყოვლისმომცველ ტრანსცენდენტურ და ბიოლოგიურ მთლიანობას. რამდენადაც თავდაპირველად კოსმიურობა ატარებს მკვეთრად გამოხატულ სოციალურ ხასიათს, ამიტომ გარესამყაროს პირველადი გაცნობიერებაც სოციოკოსმიურ პრინციპს ეფუძნება: ერთი მხრივ, კოსმოსი(სოციალიზირებული კოსმიურობა), როგორც მთელი, და მეორე მხრივ, ადამიანისა და კოსმოსის/გარესამყაროს მთლიანობა – Homo Totus-ობა. ამ მთლიანობისთვის უცხოა სუბიექტისა და ობიექტის, საგნისა და ნიშნის, ნივთისა და სიტყვის, არსებისა და მისი სახელის, სივრცისა და დროის, წარმოშობისა და არსის და ა.შ. ერთმანეთისაგან განცალკევება.

გარესამყაროსთან მთლიანობის სტრუქტურა იგება განსაკუთრებული მითოსური მექანიზმით, რომელიც ემყარება ორი მხარის(ადამიანი და კოსმოსი) ურთიერთგაიგივებისა და თანაზიარობის პრინციპს, ლევი-ბრიულის ტერმინით – „პარტიციპაციის კანონს“(Леви-Брюль 1994, 61). „პარტიციპაციის კანონი“ პირველყოფილ აზროვნებაში განსაზღვრავს კოლექტიურ წარმოდგენებსა და ასოციაციებს, რომლებიც თავისი არსით/შინაარსით არის მისტიკური. „არსებების, გამოვლინებების, ამა თუ იმ მოვლენათა წარმოშობა წარმოადგენს შედეგს მისტიკური ქმედებებისა, რომელიც განსაზღვრულ მისტიკურ პირობებში გადაეცემა ერთი საგნიდან ან არსებიდან მე-

2 Eliade 1959:151.

3 ორბელიანი 1991:120.

ორეს. ყველაფერი ეს დამოკიდებულია პარტიციპაციაზე, რომელიც პირველყოფილ ადამიანს წარმოუდგება სულ სხვადასხვა ფორმით: შეხება, გადატანა, სიმპათია, ზემოქმედება შორ მანძილზე და ა.შ.“ (Леви-Брюль 1994, 62). პარტიციპაციული მექანიზმი შესაძლებელს ხდის მითოსურ აზროვნებაში მისტიკური კავშირები გაიბას მიზეზ-შედეგობრივად დაუკავშირებელ მოვლენებსა და საგნებს შორის, მაშინ, როდესაც ყველაზე ცხადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ხელიდან სხლტება ან მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება: მაგ. ისეთი ცხადი ურთიერთმიმართება როგორც არსებობს მზის ნათებასა და დღის სინათლეს შორის ან ადამიანის გამრავლებასა და სექსუალურ ცხოვრებას შორის და ა.შ. პირველყოფილი ადამიანის აზროვნებისათვის მოუხელთებელი რჩება (ან მეორეული მნიშვნელობა ენიჭება (Леви-Брюль 1994, 62).

ამდენად, პარტიციპაციის მისტიკური მექანიზმით შესაძლებელია გარესამყაროსთან, კოსმოსთან გამთლიანება. შესაბამისად, **„პარტიციპაციის კანონი“ არის მითოსური მექანიზმი, რომლითაც მიიღწევა არქაული ადამიანის უნივერსალური მიზანი – პარტიციპალური მთლიანობა,⁴ Homo Totus-ობა: ადამიანის ტრანსცენდენტური გამთლიანება-თანაზიარობა კოსმოსთან, გარესამყაროსთან. პარტიციპალური მთლიანობა – არის მიზეზიც (მექანიზმი) და შედეგიც. ეს არის მითოსური აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ყველაზე არქაული შრე.**

თუმცა ეს არის მოვლენის მხოლოდ ერთი მხარე. არქაული ადამიანი არ არის მხოლოდ „ბუნების შვილი“⁵, ან მხოლოდ კოსმოსთან მისტიკურად გაერთიანებული არსება, არამედ იგი ამდენადვე არის „ისტორიის შვილიც“, ისტორიის ლინეარულ მდინარებაში ჩართული და ისტორიის ცვლილებებს დაქვემდებარებული არსება. „ძირითადი განსხვავება სხვა ტიპის კულტურებთან შედარებით იმაში მდგომარეობს; – წერს ელიადე, „რომ პრიმიტიული ხალხები ისე ძლიერად არ ინტერესდებიან იმით, რასაც ჩვენ ვეძახით „ისტორიას“, ანუ შეუქცევად მოვლენათა სერიას, რომელიც ხდებოდა ლინეარულ, ისტორიულ დროში. მათ უფრო აინტერესებთ საკუთარი „წმინდა ისტორია“, მითითური და შემოქმედებითი აქტები, რომლებიც აფუძნებენ მათ კულ-

4 „პარტიციპალური მთლიანობა“ – ამ ტერმინით ჩვენ ვაზუსტებთ(ან ვაფართოებთ) ლევი-ბრიულის ტერმინს „პარტიციპაციის კანონი.“ „პარტიციპალური მთლიანობაში“ ჩანს პარტიციპაციის კანონის, როგორც მექანიზმის ფუნქციონირების შედეგიც – პარტიციპაციების გზით გარესამყაროსთან თანაზიარობა და გამთლიანება.

5 როგორც ამას ელიადე წერს, „არცერთი თანამედროვე ენთოლოგი ან რელიგიის ისტორიკოსი, არ თვლის, რომ პრიმიტიული ხალხები არიან „ბუნების შვილები“ (Naturvölker), რომ ისინი არ „ცხოვრობდნენ ისტორიაში“ და არ იცვლებოდნენ მასში...“ (Eliade 1973, xi).

ტურასა და ინსტიტუტებს და აზრს სძენენ საკაცობრიო არსებობას“ (Eliade 1973, xi). არქაულ ადამიანს ისტორიასთან უფრო „ღირებულე-ბითი“ და „სელექციური“ დამოკიდებულება აქვს და როგორც ვლიანდე თვლის, მათი „წმინდა ისტორია“ უწინარესად გონების პროდუქტია, რომლის დემითოლოგიზირებაც სულაც არ არის საჭირო (იქვე). არქაული ადამიანის „წმინდა ისტორია“ ასევე არ უნდა დავიყვანოთ ე.წ. „პრელოგიკურ აზროვნებამდე;“ რადგან ეს „წმინდა ისტორია“ მთელი თავისი შემოქმედებითი აქტებით იგება „წმინდა ლოგიკით“ და ღრმად მენტალური სტრუქტურით: პარტიციპალური მთლიანობით სტრუქტურირებულ მსოფლმხედველობაში მისტიციზმისა და რეალიზმის, მითურისა და ისტორიულის მთელი ეკლექტიკა აქ თავისებურ ჰარ-მონიულ თანაარსებობაშია:

პირველი: უძველესი ლოგიკის დანახვა შესაძლებელია ხილულ-რეპრეზენტაციული, ფსიქოლოგიურ-ასოციაციური და სხვა ემპირი-ული საწყისებიდან მომდინარე პარტიციპალურ კავშირებში(მაგ. ვი-ზუალური ასოციაციები, როცა ერთი საგანი/მოვლენა ჰგავს მეორეს: ხარის რქა ჰგავს მთავრეს, ფერადი გველი ჰგავს ცისარტყელას და ა.შ.). ასოციაციური აზროვნება, დაფუძნებული საგნებისა და მოვლენე-ბისადმი პირველყოფილი ადამიანის ფსიქოლოგიურ და ვიზუალურ-რეპრეზენტაციულ მიმართებებზე არის ის უნიკალური თავისებური ლოგიკა, რომელსაც არქაულ კულტურებში ვხვდებით.

მეორე: ფსიქოლოგიური ასოციაციური კავშირების გაბმის უნარის გარდა(რომელიც მისტიკურ-პარტიციპალური აზროვნების წყაროც არის), არქაული ადამიანი ფლობს ცხოვრების ემპირიულ გამოცდი-ლებაზე დაფუძნებულ ინტელიგიბელურ ცოდნას, რომელსაც მკვეთ-რად მიჯნავს მაგის გზით მოპოვებული ტრანსცენდენტური ცოდნი-საგან, ანუ ნუმინოზური გამოცდილებისაგან. მალინოვსკი აღნიშნავს, რომ „თითოეული პრიმიტიული საზოგადოება ფლობს ცოდნის მნიშვ-ნელოვან მარაგს, დაფუძნებულს გამოცდილებაზე და სისტემატიზი-რებულს გონებით“ (Malinowski 1948, 9). ცოდნა ტრანსცენდენტური და ცოდნა ინტელიგიბელური, თავის მხრივ, მიჯნავს სამყაროს სფეროთა მთლიან სპექტრს – ბუნებრივსა და ზებუნებრივს, საკრალურსა და პროფანულს, რაციონალურსა და ირაციონალურს და ა.შ. რაც არის

6 ლევი-ბრიულმა პირველყოფილი პარტიციპალური აზროვნების აღსანიშნად თავდაპირველად შემოიტანა ტერმინი „პრელოგიკური.“ ამასთან, მან არაერთგ-ზის აღნიშნა, რომ ტერმინი „პრელოგიკური“ არ შემოუტანია „ლოგიკურის“ ან-ტონიმად: „პრელოგიკური არ არის ანტილოგიკური, ასევე არ არის ალოგიკური. ვუწოდებ რა მას პრელოგიკურს, ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ იგი, ჩვენი აზროვნებისაგან განსხვავებით, უპირველესად არ ელტვის, გაექცეს წინააღ-მდეგობებს. იგი უპირველესად ემორჩილება პარტიციპაციის კანონს“ (Леви-Брюль 1994, 63).

წყარო სამყაროს ორმაგი/ორგვარი აღქმა-გაცნობიერებისა. ამიტომ საკითხი დგას არა იმდენად იმგვარად, თუ რამდენად არის არქაული ადამიანი ირაციონალური ან რაციონალური, მისტიკური ან რეალისტური, არამედ ისე, – თუ როდის გადაიხრება იგი ამა თუ იმ მხარეს; როდის, რა ვითარებაში მიმართავს ამ ორიდან ერთ-ერთს და რა ფაქტორები განაპირობებს მის არჩევანს. მალინოვსკის აზრით, პრიმიტიული ადამიანი არასოდეს არის მხოლოდ მაგიის იმედად, იგი ცდილობს თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს ერთიც და მეორეც, – მაგიაც და ემპირიული ცოდნაც, რადგან იცის, რომ მცენარე ვერ გაიზრდება მხოლოდ მაგიის ძალით, ან გამარჯვება ორთაბრძოლაში შეუძლებელია ოსტატობისა და გამბედაობის გარეშე. მაგრამ „იქ, სადაც ადამიანი ხედავს, თავისი ცოდნისა და თავისი რაციონალური მიდგომის უსუსურობას, იქ მიმართავს მაგიას“ (Malinowski 1948, 15).

ამდენად, პარტიციპალური მთლიანობა არის არქაული ადამიანის აზროვნებისა და მსოფლმხედველების თავდაპირველი ფორმა, რომელიც თავის თავში მოიცავს პირველყოფილ ადამიანის არსებობისა და აზროვნების ორ ასპექტს; უფრო მეტიც, ზოგადად ადამიანური ფენომენის (არქაულისა და თანამედროვეს) ორ ფუნდამენტურ მხარეს – ტრანსცენდენტურსა და ინტელიგიბელურს. მათგან მომდინარე ბინარული უნივერსალური კლასიფიკაციები კი გამოხატავს და ხსნის არქაული კულტურებიდან მოყოლებული თანამედროვე კულტურებით დამთავრებული, ადამიანის მკვეთრად გამოხატულ ორმაგ დამოკიდებულებას სამყაროსეული გამოვლინებებისადმი.

ამიტომ არქაული ადამიანი თავისი პარტიციპალური აზროვნებით შეიძლება იყოს როგორც „ბუნების შვილი“ (Naturvölker), ასევე, თავისი ინტელიგიბელური და რაციონალური აზროვნებით ისტორიის ლინეარულ მდინარეებაში ჩართული „ისტორიის შვილიც“; თუნდაც ეს ისტორია იყოს „საკრალური ისტორია“, მოკლებული სერიულ შეუქცევად მოვლენათა მდინარეების განცდას.

2. უნივერსალური დიქოტომიები და „მედიაციური მესამე ელემენტი“

საწყისი მთლიანობის გადალახვა

ჩვენ აქამდე ვსაუბრობდით არქაული ადამიანის არსებობისა და აზროვნების იმ ერთადერთ ფორმაზე, რომელიც მითოსური წესრიგით არის განპირობებული და დასაბამს იღებს პარტიციპალური მთლიანობის პირველადი და უნივერსალური იდეიდან.

ახლა უკვე შეგვიძლია, თვალი მივადევნოთ საწყისი მთლიანობისა და მისი რღვევის წმინდა მითოსურ სტრუქტურებს ექსპლიციტურ გამოვლინებაში – კოსმოგონიებისა და სოციოგონიების დონეზე, სადაც „მთლიანობა“ და მისი დიფერენციაცია დიქოტომიისა და პოლარულობის ნიშნით, რეპრეზენტირებულია უნივერსალურ პარადიგმაში: ერთი მხრივ, კოსმოგონიურ დონეზე – ანდროგინიის, და, მეორე მხრივ, სოციოგონიურ დონეზე – მონოგამიის გამოვლინებაში.

მითოლოგიური ანდროგინია – პირველადი კოსმიური მთლიანობა უნივერსალური მოვლენაა და მას კულტურის ყველა სახეობასა და დონეზე(არქაული, განვითარებული) ვხვდებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ანდროგინია გაცილებით კომპლექსური მოვლენაა, ვიდრე უბრალოდ სქესთა შერწყმა. როგორც ელიადე ფიქრობს, ანდროგინია არის მთლიანობის, საპირისპიროთა თანაარსებობის, *coincidentia oppositorum*-ის გამოხატვის არქაული, უნივერსალური ფორმულა.⁷

ღვთაებრივი ანდროგინია არის სამყაროსეული პირველმთლიანობის უნივერსალური გამოვლინება, რომელიც თავისი სტატიკური ონტოლოგიური ფორმის გადალახვით, დასაბამს აძლევს შესაქმის ხანგრძლივ პროცესს. ამ ანდროგინიური პირველმთლიანობის დიფერენციაცია ორ პოლარულ საწყისად კოსმოგონიებში ორი განსხვავებული ფუნდამენტური ნიშნით არის რეალიზებული – **ონტოლოგიურ საწყისთა (ნათელი და ბნელი) ნიშნით** – ტყუპების კოსმოგონიებში (პირველარსებული ანდროგინიური წიალიდან გამოიყოფა სამყაროს ნათელი და ბნელი ონტოლოგიური საწყისები ორი ტყუპისცალის სახით) და **სქესობრივი ნიშნით**: მამრი-ზეცისა და მდედრი-მიწის, როგორც ჰიეროგამიური წყვილის („საკრალური ქორწინება“) დაშორების კოსმოგონიური აქტით.

* * *

სამყაროს საწყისი „მთლიანობა“, როგორც პირველადი არადიფერენცირებული აზროვნების გამოხატულება, არის რაღაც მერყევი, გარდამავალი ქაოსსა და კოსმოსს შორის. საკაცობრიო კულტურის ამ საფეხურზე კოსმიური და სოციალური სტრუქტურები ჩანასახების დონეზე ფუნქციონირებენ. ნამდვილი კოსმოგენები და სოციოგონია(სოციოკოსმოგონია) – სამყაროს კოსმიური და სოციალური მოწყობა (სოციალური სტრუქტურები კოსმიურს იმეორებენ

7 ანდროგინიის საკითხი ფუნდამენტურად აქვს შესწავლილი მირჩა ელიადეს, წიგნებში: Eliade Mircea, Mephistopheles and the Androgyne: studies in religious myth and symbol. Sheed and Ward, 1965. აგრეთვე: Eliade Mircea, The Two and The One. Harvill Press, 1965.

და პირუკუ) იწყება ადამიანის ბუნებისაგან გამოცალკევებით – პირველადი პარტიციპაციის გადალახვით, რაც საწყისის (საწყისი მთლიანობის) დაშლასა და პოლარულ საწყისთა დიფერენციაციის გზით დიქტომიური სტრუქტურების გაჩენას მოასწავებს.

ამერიკის ინდიელთა იუმას ტომის მითის მიხედვით, „კოკომათი იყო შემოქმედი და ცხოვრობდა იგი წყლის ქვეშ. იყო ორი არსება ერთში. ის აღდგა წყლიდან და წარმოთქვა საკუთარი სახელი: – კოკომათი, მამა და შემოქმედი ყოვლისა! მაგრამ მალე მისგან წარმოიქმნა მეორე ქმნილება, რომელსაც ერქვა ბაკოთალი...“ (Curtis 1968, 562-568). ტყუპების კიდევ ერთ ამერიკულ მითში ანდროგინია აერთიანებს შესაქმის ორივე მოდელს: ონტოლოგიურ საწყისთა დიფერენციაციასა და სექსობრივი ავტარქიის რღვევას: „თავდაპირველდ იყო მხოლოდ Awonawilono – ყველაფრის შემოქმედი, რომელიც იმ საყოველთაო სიცარიელეში სრულიად მარტო იყო. მერე მზედ გადაიქცა და თავისივე სუბსტანციიდან შექმნა ორი თესლი, რომლითაც დიდი წყლები გაანაყოფიერა: მისი სინათლის სითბოსაგან ზღვის წყალი გამწვანდა და გააჩინა ქაფი, რომელიც სულ იზრდებოდა და იზრდებოდა, სანამ ერთ დღეს მან მშობელი-მიწის და მამა-ზეცის ფორმა არ მიიღო. ამ ორი კოსმიური ტყუპის – მიწისა და ცის კავშირით უთვალავი ფორმით იშვა სიცოცხლე“ (Cushing 1896,379).

სოციოგონიებში მითიური ტყუპები დასაბამს აძლევენ არქაული საზოგადოებების პირველად ბინარულ დაყოფას „ზედა“ და „ქვედა“ კლასებად, ეგზოგამიურ ჯგუფებად, ფრატრიებად და ა.შ. და მათ შორის სრულიად სამყაროს – მზე, მთვარე, მდინარეები, ცხოველები, ფრინველები, მცენარეები და სხვა., გადანაწილებას. ბრაზილიური ტომი კაინგანგი მთელ თავის კულტურასა და ინსტიტუციებს უკავშირებს თავიანთ მითიურ წინაპრებს – ტყუპებს, „მათ არა მხოლოდ გაყვეს ტომი ორ ეგზოგამიურ ჯგუფად, არამედ, ასევე მთელი ბუნება გაანაწილეს ორ გმირს შორის“ (Eliade 1975, 135). ვიქტორიის მკვიდრთა – ტუზემცების აზრით, „მთელი სამყარო განაწილებულია ორ ფრატრიას – გუმატჩისა და გუროჩიტს შორის. პირველ ფრატრიას ეკუთვნის ძალღი, თეთრი ციყვი, პელიკანი, შევარდენი, თეთრი კაკადუ, ვეფხვისებრი გველი, წითელი ჭიანჭველა, წითელი ხე, მუხა, სისხლის ხე (bloodwood), რკინის ხე და სხვა. მეორე ფრატრიას ეკუთვნის – ველური კატა, კენგურუ, ყვავი, გედი, ღამურა, წერო, შავი კაკადუ, სისინა გველი, შავი ჭიანჭველა, შაქრის ლერწამი, ტომაჰავკი(ნაჯახი), წითელი ისრები, ბუმერანგი და სხვა. არა მხოლოდ ბუნება და ადამიანები, არამედ სულების სამყაროც იყოფა იგივე ორ კატეგორიად და გარდაცვლილები მიდიან თავიანთი ფრატრიის სულთა ქვეყანაში“

(Золотарев 1964, 90). ამდენად, სახეზეა სოციალური დიფერენციაციების სრული კოსმიზაცია და პირუკუ, კოსმიური პოლარობების სოციოლოგიაში – დიქოტომიური სტრუქტურები იკითხება კოსმიური და სოციალური განზომილებების ყველა რგოლზე: ცა და მიწა, ზედა და ქვედა, მარჯვენა და მარცხენა, „შინა“ და „გარე“; საკრალური და პროფანული, სული და სხეული, ნათელი და წყვედიადი, დღე და ღამე, სამყაროს ოთხი მხარე და ა.შ. ამ სოციოკოსმოგენების ცენტრში ყოველთვის მითიური ტყუპები დგანან. ტყუპები, როგორც – სამყაროსა და სოციუმის შემქმნელი კულტურული გმირები, თითოეული თავისი პოლარობის(საწყისის) შესაბამისად ახორციელებს კრეაციულ აქტებს – პოზიტიურსა და ნეგატიურს. როგორც ელიადე წერს, „კულტურული გმირების ეს წყვილი გამოხატავს უნივერსალურ დიქოტომიას“ (Eliade 1975, 135).

მაგრამ, ანდროგინიის რღვევას, დიქოტომიური პოლარობების წარმოშობასა და მის მითოკოსმიზაციას იმთავითვე არ ახლდა მხარეთა ანტაგონიზმი (დუალისტური მსოფლმხედველობის საფუძველი). ურთიერთგანსჭვალული პოზიტიური და ნეგატიური მხარეები ჰარმონიულ თანაარსებობას განაგრძობენ. პირველადი მთლიანობის დაძლევა ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა და რაც მთავარია, იგი თავისდათავად ორი პოლარობის მიღმა კიდევ რაღაც დამატებითი ელემენტის, ვთქვათ, „მიღმიერი მესამის“ გარეშე ვერ გადაილახა: დიფერენციაციის უზრუნველსაყოფად შემოდის „მიღმიერი მესამე“. ამ მესამე ელემენტს, რომელიც მოულოდნელად ორად გაყოფილი მთლიანობის შუაში აღიმართება, როგორც წონასწორობის დამჭერი, ელიადე „მესამე წევრსა“ და „უმაღლეს სინთეზს“ უწოდებს: „მესამე ელემენტად გვევლინება „უმაღლესი სინთეზი“, ორი ურთიერთსაპირისპირო ელემენტის გამაერთიანებელი და მათ შორის წონასწორობის დამჭერი“ (Eliade 1975, 161). ურთიერთშეპირისპირებული პოლარობები პარადოქსული კვლავშეერთების გზით უარყოფენ თავიანთ ანტაგონიზმს ერთმანეთის მიმართ და ამ „ურთიერთშეჯახებისას პოლარობა წარმოშობს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „მესამე წევრი“, რომელიც შეიძლება იყოს ან ახალი სინთეზი, ან რეგრესი – წინამორბედი მდგომარეობის დაბრუნება⁸.... როდესაც ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისები თანაარსებობდნენ განუსხვავებელ მთლიანობაში“ (იქვე, 163). „მესამე ელემენტი“ თავისი ბუნებით მედიაციურია. იგი აშორიშორებს დიფერენცირებულ პოლარობებს, მაგრამ იმავედროულად უნარჩუნებს ურთიერთკავშირს, რომლითაც უზრუნველყოფს

8 ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ „მესამე სინთეზი“ ვერ იქნება თავდაპირველი მთლიანობის დაბრუნება, არამედ იგი იქნება სრულიად „ახალი სინთეზი“.

მათ ახალ კვლავშერწყმას. ამდენად, *მედიაციური მესამე ელემენტით, იგივე „უძალდესი სინთეზით“ მიიღწევა მხარეთა ურთიერთგაშუალება და იმავდროულად, ახალი ურთიერთგანსჭვალვა: მთლიანობის გათიშვა, მათი გაშუალებისა და სრულიად ახალი სინთეზის/კავშირის წარმოშობის მიზნით.* პირველადი მთლიანობის გათიშვის შემდგომ ეს ახალი ურთიერთგანსჭვალვა და ურთიერთგაშუალება არის კოსმოგენების ერთ-ერთი (და არა საბოლოო) უმნიშვნელოვანესი ეტაპი – იგი სამყაროს კოსმიურ/სოციალურ წონასწორობას ადგენს/აწესებს და უზრუნველყოფს სამყაროს წყობის, კოსმიური მოდელის საბოლოო ფორმირებას. ამიტომაც მედიაციური მესამე ელემენტი, როგორც მოსალოდნელი იყო, კოსმოგონიური მითოსის იმ ეპიზოდში ჩნდება, სადაც მოთხრობილია კოსმიური მოდელის ფორმირების პროცესი: ცისა და მიწის (ჰიეროგამიური წყვილი) ერთიანი სხეულის, საწყისი მთლიანობის ორად განკვეთისა და მათ შორის წარმოქმნილი კოსმიური ღერძით პოლარობათა დაშორიშორების კოსმოგონიური აქტი. მედიაციური მესამე ელემენტი მითოსიუფეტურ დონეზე მატერიალიზებულია უპირველესად სიცოცხლის ხის ან კოსმიური მთის სახით; ან პერსონიფიცირებულია ზებუნებრივი სულიერი იპოსტასებით (დემიურგი, ღვთაება, პირველკაცი, ტიტანი და სხვა).

მედიაციური მესამე ელემენტის მატერიალიზება/პერსონიფიცირება სამყაროს ღერძად არის შედეგი კოსმიური სივრცის გაცნობიერებისა, რომელსაც მოჰყვა სამი სხვადასხვა კოსმიური რგოლისგან შემდგარი სამყაროს მოდელის საბოლოო ფორმირება: ა) საწყისი: სამყაროს ცენტრი, შუაგული (ცენტრული წერტილი); ბ) მასში(ცენტრში) ჩამაგრებული და მისგან ამოზრდილი კოსმიური ღერძი, იგივე მედიაციური მესამე ელემენტი; და ბოლოს გ) დიფერენცირებული პოლარობები – უნივერსალური დიქოტომიები.

მედიაციური მესამე ელემენტი შემოდის ტყუპების მითოსშიც. ტრიქოტომიური სტრუქტურა იკითხება ტყუპების მითოსის როგორც სოციოკოსმოგონიურ, ისე წმინდა სოციოგონიურ ვერსიებში.

ტყუპების მითოსის სოციოკოსმოგონიური ციკლი. ტყუპების, ამ ორი დიქოტომიური პერსონაჟის პირველად მთლიანობას – მათ ერთიან შერწყმულ კოსმიურ სხეულს ორად ანაწევრებს კოსმიური სივრცის განმასახიერებელი ფრინველი, რითაც საფუძველს უყრის „მიწისა“ და „წყლის“ სოციალური ორგანიზაციების (ფრატრიების) წარმოქმნადიფერენციაციას. ფაქტობრივად, ეს სოციოგონიური მოტივი კოსმოგონიურ პლანში იგივეა რაც ცისა და მიწის დაშორიშორება. ამ ავსტრალიური (არუნტას ტომი) მითის მიხედვით, თავდაპირველად მთელი სამყარო დაფარული იყო წყლებით, რომელშიც დაცურავდა

პირველარსებული ერთმანეთისაგან განუცალკევებელი წყვილი. მაგრამ წყალი დაშრა და ისინი სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაშინ სამხრეთიდან მოფრინდა ფრინველი და დაეხმარა მათ ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევაში. ფრინველმა ქვის დანით ერთმანეთისაგან დააცალკევა მათი სხეულის თითოეული ნაწილი: გამოუჭრა თვალები, გაუხსნა ყურები, პირი, ცხვირი, ერთმანეთისაგან დაყო და გაჭრა თითები. ამ ორ არსებას მისცა მშვილდი და ისრები, ფარი და ბუმერანგი. შემდეგ ისინი დაყო ორ ფრაგრიად: „ცის ბინადრებად“ და „მიწის ბინადრებად“ (Золотарев 1964, 91).

ამდენად, კოსმოგონიური და სოციოგონიური პოლარობების მიღმა დაფარული მედიაციური ტრიქოტომია ცხადყოფს, რომ უნივერსალური დიქოტომია ჯერ კიდევ არ ნიშნავს მხარეთა ანტაგონიზმს, მით უფრო – დუალიზმის წარმოშობას. ტყუპების მითოსში, სადაც ძმები/დეები ურთიერთკონკურენტულ მოცემულობაში იმყოფებიან, მათ მოღვაწეობაში ანტაგონიზმი მეორეული მოვლენაა. ამ ციკლის მითებში „ორი პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ხასიათი თავდაპირველად არ შეინიშნება, მათი ჩხუბიც უმნიშვნელოა“ (Золотарев 1964, 100). როგორც ელიადე წერს, ტყუპები ყოველთვის არ არიან კონკურენტები. მითის ზოგიერთ ვარიანტში, ტყუპთაგან ერთ-ერთი მკვდრეთით აღადგენს ძმას საკუთარი სხეულის ნაწილებისაგან, სისხლისაგან, ძვლებისაგან (Eliade 1975, 135). ტყუპების კოსმოგონიური მითოსის უძველეს ვერსიებში, სადაც ღვთაებრივ ტყუპთაგან ერთი ჭეშმარიტი შემოქმედია, მეორე კი კრეაციულ უნარს მეტ-ნაკლებად მოკლებული, ისინი ყოველთვის ერთმანეთს ავსებენ და აწონასწორებენ, აგრძელებენ და ასრულებენ ერთმანეთის დაწყებულ კრეაციულ აქტებს და განასახიერებენ არა „კეთილ“ და „ბოროტ“ საწყისებს, არამედ მხოლოდ დიქოტომიურ პოლარობებს. „ცუდი ტყუპისცალი გვევლინება არა „ბოროტების“ იდეის განსახიერებად, არამედ, მხოლოდ სამყაროს ნეგატიური ბნელი მხარისა“ (Eliade 1975, 135).

ტყუპების მითოსის სოციოგონიური ციკლი. გვაქვს ტყუპების მითოსის წმინდა სოციოგონიური ციკლიც, სადაც კოსმოგონია ან სრულიად ამოვარდნილია, ან იგივე ტყუპების მონაწილეობით სხვა პარალელურ ნარატივშია გადატანილი. ტყუპების მითოსის წმინდა სოციოგონიურ ციკლში მედიაციურ მესამე ელემენტად კოსმიურის ნაცვლად შემოდის სოციალური ელემენტი (ინსტიტუტი), ისეთი, როგორიცაა „გაცვლითი ქორწინება“, – ეგზოგამია. ავსტრალიური (ვიქტორიის ტუზემცების) მითის მიხედვით, სამყარო შექმნეს ე.წ. ნურალებმა, რომლებსაც ჰქონდათ ყვავისა და შევარდენის გარეგნობა და ცხოვრობდნენ დიდი ხნის წინათ. მათ შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლა,

მაგრამ საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ადამიანები უნდა გაყოფილიყვნენ ორ ჯგუფად – ყვავისა(კილპარა) და შევარდნისა(მუკვარა), რომლებიც ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ გაცვლითი ქორწინებებით, ასე დამყარდა მათ შორის მშვიდობა (Золотарев 1964, 51). ეგზოგამიური ქორწინებების(პირველი მოწესრიგებული და პროგრესული სოციალური ინსტიტუტი) დაკანონება, რომელმაც აკრძალა/შეცვალა წინარე ენდოგამიური ქორწინება და ყოველგვარი ინცესტუალური გამოვლინება, არის პირველი სოციოგენები და იგი უშუალოდ შეესაბამება ქაოსის კოსმოსად გარდაქმნის კოსმოგონიურ აქტ(ებ)ს. კიდევ უფრო კონკრეტულად(მითოსიუფეტის დონეზე), საწყისი მთლიანობის – ცისა და მიწის ერთიანი კოსმიური სხეულის ორად დაყოფასა და უნივერსალური დიქოტომიების გაჩენას.

დიქოტომიების მიღმიერი დაფარული ტრიქოტომია, როგორც არქაული საზოგადოების მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ეტაპი, არ შეიძლება არ ასახულიყო ამ კოსმიურობის მატარებელი პირველადი საზოგადოებების სოციალურ ორგანიზაციებში. პირველყოფილი სოციალური ორგანიზაციების დიქოტომიურ სტრუქტურებში ლევი-სტროსი ადასტურებს შიდა „სამობით“ სტრუქტურას: „დუალიზმისა და სოციალური სტრუქტურის გარეგნული სიმეტრიის მიღმა, ამოიცნობა გაცილებით მნიშვნელოვანი სამობითი და ასიმეტრიული ორგანიზაცია (Levi-Strauss 1963, 131). დუალიზმის სხვადასხვა გამოვლინება თანაარსებობს სამწევრიან სტრუქტურასთან ერთად: მართლაც თითოეული რვა კლანი, თავის მხრივ, იყოფა სამ კლასად: უმაღლესი, საშუალო და დაბალი... სახეზეა სამი საზოგადოება ერთი საზოგადოების შიგნით“ (იქვე, 143). დუალური ორობითი სტრუქტურა გარეგნულად გამოხატულია და თვისობრივად ფუნქციონირებს ცენტრისტულ-კონცენტრირებულად. *პრედუალური ფენომენები გარკვეული გადაადგილება/კონფიგურაციის გზით არა მხოლოდ პასიურად ინარჩუნებენ თავს დუალურ სტრუქტურაში, არამედ, დუალიზმის განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინებიან.* ისინი ადვილად იმიფრებიან როგორც მსოფლმხედველობრივ, ისე სოციუმების სტრუქტურული მოწყობის დონეზე.

3. მონაცვლეობის კოსმიური რიტმები და „მედინი მეოთხე ელემენტი“

დუალიზმის წარმოშობა

მედიაციური მესამე ელემენტის გაჩენითა და უნივერსალური დიქტომიების წარმოშობით მთლიანად იცვლება კოსმოსი: იცვლება მისი სტრუქტურა და რიტმი. დიქტომიური წყვილები, რომლებიც პირველადი მთლიანობის დაშლის (დაშორიშორების) შემდეგ წარმოიშვნენ და თავ-თავიანთ სივრცულ განზომილებებში განთავსდნენ, ურთიერთგანსჭვალვის მიუხედავად, შეუძლებელია ერთმანეთში თანაარსებობდნენ – შეუძლებელია ერთმანეთს ემთხვეოდნენ დროისა და სივრცის ერთ წერტილში(თვისთავად ცხადია, რომ ეს განსაკუთრებული საკრალური/კოსმიური „წერტილია“). და ეს ასეა ჩვენთვის უკვე ცნობილი ორი მიზეზის გამო: პირველი: ისინი გაშუალებული არიან მესამე ელემენტით – „უმაღლესი სინთეზით“, და მეორე: თავდაპირველი/საწყისი მთლიანობა დაშლილია, **საწყისი ველარასოდეს იქნება იმგვარი, როგორც კოსმოგონიამდე იყო**, მას ვერც „მარადიული დაბრუნების მითი“ უბრუნებს პირვანდელ სახეს, რადგან ყოველი „დაბრუნება“ არის სიახლე, ყოველი ახალი მობრუნების ჯერზე კოსმოსი იღებს „ახალ სინთეზს“ და ეს ასეა უსასრულოდ.

პარტიციპალური მთლიანობის გადალახვის შემდეგ, ეს დიქტომიური წყვილები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, პოლარულ და უფრო მეტიც, ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამ მოცემულობაში მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არ დაკარგონ „პოზიცია“ კოსმოსში და დარჩნენ მხარედ(პოლარობად). თითოეული პოლარობა ფუნქციონირებს „საწყისთან“ მიმართებაში (როგორც პარტიციპალური მთლიანობისა და მოგვიანებით, მათი გენეზისის ადგილი). მაგრამ „საწყისი“ პირვანდელი ფორმით აღარ არსებობს: **კოსმოგონიის შემდეგ საწყისი გადაიქცა (გაცნობიერდა) სამყაროს ცენტრად (ცენტრულ წერტილად), შუაგულად, რომელშიც „ჩამავრდა“ კოსმოსის ღერძი (მედიაციური მესამე ელემენტი)**. ამიერიდან მხოლოდ კოსმიური ცენტრია ყველაზე საკრალური, ყველაზე აქტიური და დომინანტური ადგილი კოსმოსის სტრუქტურაში. კოსმოსში მხოლოდ ის ძალა ხდება დომინანტური, რომელიც ამ ცენტრს ფლობს, რადგან ძალაუფლება და წესრიგი/კანონი ცენტრიდან განეფინება სრულიად სამყაროს. შესაბამისად, ნებისმიერი პოლარობა მისკენ მიილტვის და მის დაუფლებას ცდილობს. მაგრამ **კოსმიური ცენტრის ფლობა დიქტომიურ წყვილებს ერთდროულად არ შეუძლიათ**, რამდენადაც, როგორც ვთქვით, ცენტრი აღარ არის წინარე

საწყისი (პარტიციპალური მთლიანობა). დროის განსაზღვრულ მომენტში/ინტერვალში კოსმიურ ცენტრს ფლობს დიქტომიურ მხარეთაგან მხოლოდ რომელიმე ერთი. ამ დროს იგი დომინანტურია და მისი წესრიგი (პოზიტიური პოლარობა) ან ქაოსი (ნეგატიური პოლარობა) განსაზღვრავს სამყაროს სტრუქტურას. დროის ამ ინტერვალში მორე დიქტომიური მხარე კოსმიური ცენტრიდან უკიდურეს პერიფერიაში „თვლემს“.

უნივერსალური დიქტომიების წარმოშობის თავდაპირველ სტადიაზე მედიაციური მესამე ელემენტის მონაწილეობით გაშუალებულ დიქტომიურ პოლარობათა კავშირები, როგორც ურთიერთგანსჭვალვები, განსაზღვრულია მათი ჰარმონიული ურთიერთმიმართებით – **კოსმიურ ცენტრში პოზიციების დაკავებისა და დათმობის რიტმული მონაცვლეობით** (მაგ. „კოსმიური პოლარულობის ჩინური ინტერპრეტაცია, გამონატულია ორი საწყისის – ინისა და იანის რიტმულ მონაცვლეობაში“ (Eliade 1975, 152). ეს კოსმიური პროცესი სამყაროში ციკლურობისა და კოსმიური რიტმის წარმოშობის საფუძველი ხდება. საფუძველი ეყრება, ერთი მხრივ, დღეღამურ ციკლს, რომელიც სამუდამოდ ინარჩუნებს რიტმული მონაცვლეობის თვისებას და, მეორე მხრივ, დიდ კოსმიურ ციკლებს, რომლებიც რიტმული მონაცვლეობის წესრიგიდან თანდათან სრულიად სხვა კოსმიური რიტმების წესრიგზე გადადის. ეს ტრანსფორმაცია იძენს კოსმიური მასშტაბის კატაკლიზმურ ხასიათს: **კოსმოსში პოზიციების მონაცვლეობით დაკავების პრინციპზე დაფუძნებული სტრუქტურა თავისთავად ბადებს კოსმიური მასშტაბის კონკურენციებს**. პირველად აქ იკვეთება ურთიერთლოიალური პოლარობების ოპოზიციები, რომელთაც არ სურთ კოსმოსში აწ დაკავებული პოზიციების – „კოსმიური ძალაუფლების“ დათმობა (არ ეთმობათ). მართალია მარსელ გრანეტი, რომელიც ჩინური ინისა და იანის საწყისების მონაცვლეობის ინტერპრეტაციისას ფიქრობს, რომ „მონაცვლეობის იდეიდან იბადება ოპოზიციის იდეა“ (Granet 1934, 128).

ოპოზიციისა და ანტაგონიზმის გაღრმავების კვალდაკვალ, დიქტომიურ წყვილთა მონაცვლეობის კოსმიური რიტმი/წესრიგი საბოლოოდ ირღვევა, პოლარობათა ჰარმონიული კავშირებიც მყისიერად წყდება, ხოლო დიქტომიური ლოიალური წყვილები გადაიქცევიან დიქტომიურ ოპოზიციებად, მოწინააღმდეგეებად, სხვაგვარად – კოსმიურ კონკურენტებად. აქედან აღმოცენდება დუალური მსოფლმხედველობა, რომელიც უკვე თავის კლასიკურ გაფორმებას განვითარებულ მითოლოგიებსა და რელიგიებში ჰპოვებს (კლასიკური მაგალითია ირანული კოსმოგონია ორმუზდსა და

არიმანზე). **დუალიზმის საბოლოო ფორმირება ნიშნავს უნივერსალურ დიქოტომიათა ურთიერთმიმართების ტრანსფორმაციას: ლოიალური დიქოტომიების გადაქცევას ანტაგონისტურ ოპოზიციებად.** ეს პროცესი გულისხმობს მხარეთა უკომპრომისო დაპირისპირებას: კოსმიური კონკურენცია უკიდურეს ზღვარს აღწევს, რაც ერთ-ერთი მხარისთვის ფატალური აღმოჩნდება. იწყება ანტაგონისტურ პოლარობათა გადაძვინვანი კოსმიური ომები, რომელიც სიუჟეტურად გაფორმებულია თეოკოსმოგონიებისა (ღმერთების თაობათა ცვლა/კოსმოგენეზი კოსმიური ომების გზით) და დუალური ტყუპების კოსმოგონიების მითოსით. ამიერიდან ტყუპები აღარ არიან ერთმანეთის მიმართ მეტ-ნაკლებად კეთილგანწყობილი კულტურული გმირები (უნივერსალური დიქოტომიების მითოსახეობი): მითის დუალურ პარადიგმაში ტყუპი კულტურული გმირები ინარჩუნებენ რა თავდაპირველ გარეგნულ იერსახეს, განიცდიან თვისობრივ ტრანსფორმაციას: კულტურულ გმირთაგან ერთი ტყუპისცალი კოსმოსის მომწესრიგებელ და ქაოსის ურჩხულებთან მებრძოლ დემიურგად, ხოლო მეორე ტყუპისცალი მის უარყოფით დემონურ ორეულად – ტრიქსტერად („მითოლოგიური გაიძვერა“) გვევლინება. დემიურგისა და ტრიქსტერის მითოსახეობით გამოხატულია დუალიზმის, როგორც მსოფლმხედველობის უნივერსალური პრინციპები.

დუალურ კოსმოგონიებში ყოველთვის ზეციური, დადებითი/კეთილი ძალები იმარჯვებენ. ეს უკვე კოსმოგენეზის დასასრულია, რომელიც სრულიად ახალი კოსმიური წესრიგისა და ახალი კოსმიური რიტმის დაკანონებას მოასწავებს:

- **სამყაროს დუალური ფორმაცია საბოლოოდ აუქმებს დიქოტომიურ მხარეთა რიტმული მონაცვლეობის კოსმიურ წესრიგს და მას ჩაანაცვლებს სრულიად ახალი წესრიგით: გამარჯვებული პოლარობის (კოსმოსის) მიერ სამყაროს ცენტრის სამუდამო დაკავებითა და მარადიული ვაბატონებით.**
- **გამარჯვებული პოლარობა (კოსმოსი) თავის მარადიულ ვაბატონებას სამყაროს ცენტრში უზრუნველყოფს აქამდე უცნობი მეოთხე ელემენტით. თუკი მესამე ელემენტი – ცენტრული სივრცე მედიაციურია, მეოთხე ელემენტი – მედინია, მოძრავია. ამიტომ მას შეგვიძლია ვუწოდოთ „მედინი მეოთხე ელემენტი“:**
- **კოსმოსში „მედინი მეოთხე ელემენტის“ მატერიალიზებული სახე არის დრო.**

სამი სხვადასხვა კოსმიური რგოლისაგან (ცენტრი/საწყისი, ღერძი/სივრცე და პოლარობები) შემდგარ სამყაროს მოდელში დამატებით

აქტიურდება კიდევ ერთი კოსმიური ელემენტი – დრო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გამარჯვებული პოლარობის (კოსმოსის) დროში უწყვეტი, მარადიული გაბატონება. პირველად სწორედ აქ გადაიკვეთებიან დრო და სივრცე: დრო (დროის იდეა) იმთავითვე ჩაფიქრებულია მოძრავ, მედინ კატეგორიად, რომელმაც მოძრაობაში უნდა მოიყვანოს სამყაროს სტატიკური კოსმიური მოდელი. ამიტომ დროის უშუალო (დამოუკიდებლად) ცენტრირების ნაცვლად, ხდება მისი სივრცულ ცენტრზე – კოსმიურ ღერძზე „მიერთება“. სივრცულ ღერძზე მიერთებისთანავე დრო და მასთან ერთად კოსმოსი(სამყაროს ცენტრში გაბატონებული პოლარობა) იწყებს ღერძის გარშემო მოწესრიგებულ, რიტმულ, ციკლურ მოძრაობას, რასაც *პოლარობათა მონაცვლეობის კოსმიური რიტმი, გაბატონებული პოლარობის/კოსმოსის წრეზე მოძრაობის, ციკლური ბრუნვის კოსმიურ რიტმზე გადაწყვეტა. საფუძველი ეყრება დროის ციკლიზაციას (დროის ციკლურობას), როგორც დროსივრცულ ერთიან კატეგორიას.*

აქ, დროის დაბადებასთან ერთად, იბადება „მარადიული დაბრუნების“ მითი.

კოსმიური ჰომეოსტაზი და „მტრის ხატის“ მითოსური ონტოლოგია

ამდენად, კოსმიური დუალიზმი, ისევე როგორც პირველყოფილი სოციალური დუალიზმი (დუალისტურად მოწყობილი პირველყოფილი სოციუმები), ცენტრისტულ-კონცენტრირებულად სტრუქტურირებული მოვლენაა⁹, რომელიც ეფუძნება წესრიგის/კოსმოსის ნებისმიერი ფორმით დამყარებისა და მარადიული გაბატონების უნი-

9 უნივერსალურ დიქტომიებზე დაფუძნებული კოსმიური წესრიგი/სოციუმების ორგანიზაციული მოწყობა, სადაც ორი პოლარული მხარე თანაბარ პირობებში იმყოფება, დუალიზმის ფორმირებასთან ერთად კარგავს ამ უნივერსალურ ფარდობითობას. ამიერიდან მხარეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან. ეს დისბალანსი, რომელიც მითონარატივში გამარჯვებული პოლარობის ტოტალური დომინანტობით გამოიხატა, ძალიან კარგად ჩანს თავად არქაული დუალური სოციალური ორგანიზაციების სტრუქტურაში, სადაც ასევე არათანაბარ პირობებში იმყოფება სოციუმის ორი დუალური მხარე, რომელთაგან ერთ-ერთი ყოველთვის დომინანტურია. როგორც ლევი-სტროსი წერს: „დუალიზმი თავისთავად არის ორობითობა: იგი წარმოადგენს სიმეტრიული დიქტომიის შედეგს. დუალიზმი არის დიამეტრული სტრუქტურა, რომლითაც ხდება წონასწორობის დაჭერა სოციალურ ჯგუფებს, ფიზიკური სამყაროს განსაზღვრულ მხარეებსა და მორალურ, ან მეტაფიზიკურ არსს შორის. ამასთან, ამის საპირისპიროდ, დუალიზმი გამოხატულია კონცენტრირებულად, მისი წინამორბედი ტიპისაგან იმით განსხვავდება, რომ ოპოზიციის ორი წევრი აუცილებლად არ არიან თანაბარნი სოციალური ან რელიგიური, ან ორივე ერთად, ავტორიტეტის თვალსაზრისით (Levi-Strauss 1963:139).

ვერსალურ იდეას, სადაც კოსმოსის, როგორც უნიკალური წესრიგის ძალადობა ქაოსზე, ტრანსცენდენტური და „ლეგიტიმურია“, თავად ქაოსის გამანადგურებელი ბუნების გამო. როგორც კარლ შმიდტი წერს „პოლიტიკურ თეოლოგიაში“: „არ არსებობს ქაოსს მისადაგებული ნორმა. უნდა არსებობდეს წესრიგი, სამართლებრივ წესრიგს აზრი რომ ჰქონდეს...“ (Schmitt 2005, 13). ქაოსის ძალადობრივი გზით აღკვეთის დაშვება-ლეგიტიმურობის იდეა მითოკოსმოგონიურია და სანქცირებულია მრავალი კოსმოგონიური მითით. ამერიკის ინდიელთა ცნობილი იროკეზულ-გურონების ტყუპების მითოსი დეტალურად მოგვითხრობს ტყუპ ძმათაგან კეთილი (დემიურგი) თავისქარას მიერ სამყაროს საკეთილდღეოდ წინასწარ დაგეგმილ და განხორციელებულ ბოროტი(ტრიქსტერი) ძმის თავისკარონის განადგურების ეპიზოდს (Barbeau 1915, 46).

ქაოსური ძალის განადგურება/ქვესკნელში განდევნა არის ძალაუფლების/ძალადობის მითოსური პარადიგმის ფინალური ნაწილი. ამ პარადიგმაში ქაოსი არის მხარე, პოლარობა, რომლის არსებობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კოსმოსისა. უფრო მეტიც, უშუალოდ ქაოსის არსებობა და მასთან მარადიული ჭიდილი განსაზღვრავს ამ პარადიგმას. ამიტომ გამარჯვებული მხარე/პოლარობა არ აუქმებს დამარცხებულ მხარეს/პოლარობას, პირიქით მისგან ქმნის უნივერსალური „მტრის ხატის“ არქეტიპს. „მტრის ხატის“ აუცილებლობის იდეა თავისი საწყისით წმინდა მითოსურია. დუალური ცენტრისტული მსოფლმხედველობის დამყარების შემდეგ, ახალი კოსმიური წესრიგიდან გაძევებულია ნეგატიური პოლარობები, მაგრამ – არა მთლიანად (ბოროტი ტყუპისცალის მოკვლაც იმეორებს ქვესკნელში გაძევების არქეტიპს). სამყაროს უკიდურეს პერიფერიებში განდევნილნი ყოველთვის შეიცავენ უკან მობრუნებისა და კოსმიურ ცენტრში გაბატონების პოტენციურ შესაძლებლობას. უფრო მეტიც, მითოსი სიღრმისეულად ყოველთვის ატარებს ქაოსის მობრუნების საფრთხესა და „სიკვდილის შიშს“. მითოსის მთელი არსი, მისი კოსმოგონიური საზრისი ამ საფრთხის მუდმივი პრევენციაა მითორიტუალური სისტემების მუშაობით. მთელი ეს პროცესი კი თანდათან იძენს ონტოლოგიურ შინაარსს: მიუხედავად იმისა, რომ მითოსი უმეტეს შემთხვევაში დუმს სრულიად ტრანსცენდენტური/აპოფატიკური დასაბამისეული „სიცარიელის“/„არარას“ შესახებ, კოსმოგონიებში სრულად გაცნობიერებულია კოსმოსი, როგორც მრავალჯერადი შესაქმის შედეგი და განსაკუთრებით, „ქაოსის“, როგორც „არარას“ შემდგომი პირველადი მატერიის, სამყაროს არქეს კოსმიური მნიშვნელობა. რამდენადაც ქაოსი ის სუბსტანციაა, რომელზეც კოსმოსი დგას, ქაოსური მატერიის

განადგურება განადგურებდა კოსმოსსაც. ამგვარად გაგებულ კოსმიურ წესრიგში, მწვავე დუალიზმის პირობებშიც კი აუცილებელია მიღწეული იყოს პოლარობათა *კოსმიური ჰომეოსტაზი* – დაბალანსება/ გაწონასწორება, რაც გულისხმობს მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, არამედ, ნეგატიური მხარის ალაგმვასა და იმავდროულად, მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. არქაულ კულტურებში (მაგ.სამხრეთ ამერიკული ტომი კოგი) „ადამიანური არსებობის ცენტრალური პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გააწონასწორონ ეს ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი, ისე, რომ ისინი იმავდროულად დარჩნენ ურთიერთშემავსებელ ძალებად“ (Eliade 1975, 139). „კოგებისთვის კაცობრიობის სრულყოფილება მდგომარეობს არა „სიკეთის ქმნაში“, არამედ, ორ ანტაგონისტურ ძალას – სიკეთესა და ბოროტებას შორის წონასწორობის შენარჩუნებაში“ (იქვე, 140). „სიკეთე არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ბოროტება აქტიურია. ბოროტება რომ გამქრალიყო, იგივე დაემართებოდა სიკეთესაც“ (იქვე, 139). დუალურ პოლარობათა გაწონასწორებული მდგომარეობა, როგორც ელიადე წერს, „კოსმიურ დონეზე შეესაბამება „ცენტრალურ წერტილს“, „სამყაროს ცენტრს“. ეს წერტილი მდებარეობს სამყაროს ოთხი მხარისა და ზედა და ქვედა სკნელების გადაკვეთაზე... (იქვე, 140-141).

როგორც ჩანს, სამყაროს ცენტრი, როგორც ცენტრისტული იდეის ხორცშემსხმელი მითოლოგემა, ერთსა და იმავე დროს, ცენტრისტული ძალაუფლების ადგილიც არის და, იმავდროულად, არის მთელი კოსმიური ძალების (დადებითი, ნეგატიური) დაბალანსების, გაწონასწორების – ჰომეოსტაზის ადგილიც. ეს ორმაგობა სტრუქტურულად ახსნადია, მაგრამ მსოფლმხედველობრივად – წინააღმდეგობრივი. შესაძლოა, – პარადოქსულიც.

ამდენად, პარტიციპალური მთლიანობის გადალახვითა და უნივერსალური დიქოტომიური სტრუქტურების წარმოშობით საფუძველი ეყრება სოციოკოსმოგონიის – კოსმიური და სოციალური გენეზის ხანგრძლივ პროცესს, რომელიც პოლარულ საწყისთა ჰარმონიული რიტმული მონაცვლეობით იწყება და საბოლოოდ მხარეთა ანტაგონიზმით, დუალური დაპირისპირებით სრულდება.

სამყარო სრულყოფილ სახეს მხოლოდ მკვეთრად გამოხატულ დუალურ, ცენტრისტულ სტრუქტურაში იძენს. ეს არის კოსმოსის მილიტარისტული დგომარეობა, პოლარულ მხარეთა – ღვთიური (ციურ) და დემონური (ხთონურ), ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი ძალების მარადიული დაპირისპირება ურთიერთგაწონასწორების მიზნით; და რაც მთავარია, ამ კოსმიურ დუალიზმში იკითხება მითოსის უმთავრესი საზრისი – მარადიული ზრუნვა, დემიურგული მოღ-

ვაწეობა/ბრძოლა კოსმიური წესრიგისთვის, რადგან უნივერსალური დიქტომია და მისი პირმშო დუალიზმი ყოველთვის ატარებს კატაკლიზმებად ქცეული რიტმული მონაცვლეობისა თუ დროის ციკლური მოძრაობის მარადიულ საფრთხეს:

კოსმოსი ბრუნდება მარადიულად, მაგრამ მარადიულად ბრუნდება ქაოსიც.

ამ მარადიულ ურთიერთმონაცვლე კოსმიურ კატაკლიზმებში მყოფობს ეგზისტენციური არსება – ღვთაების ხელით და მსგავსებით ქმნილი ადამიანი, წარმავალი სხეულით და უკვდავი, მშფოთვარე სულით, რომელიც მილიტარისტულ-დუალისტური ტოტალიტარული სამყაროული წესრიგის მიღმა, უკვე დიდ რელიგიებში ეძებს სულიერი სიმშვიდის მოპოვებისა და სამყაროსთან წონასწორობის დაჭერის გზებს. ერთ-ერთი ასეთი გზა სისტემური მსოფლმხედველობის სახეს უკვე „უპანიშადებში“ იძენს, სადაც ბრაჰმანისა და ატმანის შერწყმა („ატმანი იგი ბრაჰმანია“), როგორც Homo Totus-ობის („მთლიანი ადამიანი“) ყველაზე ძველი ონტოლოგიური ხორცშესხმა, გარკვეულად პირველად პარტიციპალურ აზროვნებაში გვაბრუნებს. რა თქმა უნდა, ეს დაბრუნება არ არის დაბრუნება არქაულ „ბუნების შვილობაში“ (Naturvölker), არამედ არის ასვლა/შესვლა ახალ მაღალ საფეხურზე – კოსმოსისა და ადამიანის საწყისი მთლიანობის ონტოლოგიურ ცოდნაში/მდგომარეობაში; მისი მიღწევა კი ურთულესი longissima via-ს („გრძელი გზა“) გავლით ყველაზე თანამედროვე ადამიანის სულსაც მოჰგვრიდა სიმშვიდეს...

დამოწმებანი

- Barbeau, C. M. 1915. Huron and Wyandot Mythology, *Memoir* 80, No. 11, Anthropological Series, Ottawa: Government Printing Bureau.
- Granet, Marcel. 1934. *La Pensée Chinoise*. Paris: PUF.
- Cushing, F. H., 1896. *Outlines of Zuni Creation Myths* (Annual report of the Bureau of American Ethnology, XIII, Washington).
- Eliade, Mircea. 1959. *The Sacred and the Profane. The Nature of Religion*. London and New York: Harcourt Brace Jovanovic.
- Eliade, Mircea. 1973. *Australian Religions: An Introduction (Symbol, Myth and Ritual)*. First Edition edition. Ithaca: Cornell University Press.
- Eliade, Mircea. 1975. *The Quest History and Meaning in Religion*. Chicago-London: The University of Chicago Press.

- Eliade, Mircea. 1965. *Mephistopheles and the Androgyne: studies in religious myth and symbol*. Sheed and Ward.
- Eliade, Mircea. 1965. *The Twu and The One*. Harvill Press.
- Золотарев, А.М. 1964. *Родовой Строй и Первобытная Мифология*. Москва: Наука.
- Campbell, Joseph. 2004. *Pathways to Bliss. Mythology and Personal Transformation*. Novato, California: New World Library.
- Леви-брюль, Люсьен. 1937. *Сверхъестественное в первобытном мышлении*. Москва: Государственное антирелигиозное издательство.
- Леви-Брюль, Люсьен. 1994. *Первобытное мышление*. В кн.: *Сверхъестественное в первобытном мышлении*. Москва: Педагогика-пресс.
- Levi-Strauss, Claud. 1963. *Structural Anthropology*. New York: Basic Books.
- Lang, Andrew. 1913. *God (Primitive and Savage)*. In: *Hastings*(ed.), *Encyclopedia of Religion and Ethics*, VI, Edinburg.
- Malinowski, Bronislaw. 1948. *Magic, Science and Religion and Other Essays*. Clencoe: The Free Press.
- ორბელიანი, სულხან-საბა. 1991. *ლექსიკონი ქართული, I. თბილისი: მეგრანი*.